განმარტებითი ბარათი

ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების
შეტანის შესახებ

ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში საჭიროა მოხდეს შემდეგი სახის ცვლილება, კერძოდ:

1) გაიზარდოს როგორ შემოსულობები, ასევე გადასახდელები ა) „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 ივლისის N1146 განკარგულების (28/12/2023 წლის N2402 განკარგულების) შესაბამისად 1 398 700 ლარით და დაიგეგმოს: შემოსულობებში - გრანტების მუხლში, ხოლო გადასახდელებში, გზების კაპიტალური რეაბილიტაციისათვის, კერძოდ: სოფელ პატარა ღებში გზის რეაბილიტაციისათვის 142 500 ლარი, სოფელ უწერაში გზის რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის (II ეტაპი) საფარით 142 500 ლარი, სოფელ ჟაშქვის გზის რეაბილიტაცია ბეტონის (III ეტაპი) საფარით 190 000 ლარი, სოფელ შეუბნის გზის რეაბილიტაცია ბეტონის (II ეტაპი) საფარით 190 000 ლარი; სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის - ქ.ონში ვახტანგ VI-ის ქუჩაზე მინი სტადიონის მშენებლობის 171 000 ლარი, სოფელ სევაში არსებული მინი სტადიონის დასრულების სამუშაო 52 250 ლარი, ქ. ონში დგვარელის ქუჩაზე ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მოწყობისათვის 152 000 ლარი, სოფელ ფარახეთში გზის რეაბილიტაცია (ასფალტო-ბეტონი) IV ეტაპი 200 000 ლარი, ქალაქ ონში მოედნის ტერიტორიაზე არსებულ სასაფლაოებამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციისათვის 66 750 ლარი, სოფელ გლოლაში არსებული სასაფლაოებამდე მისასვლელი ბილიკების კეთილმოწყობისათვის 95 000 ლარი, ხოლო აღნიშნული განკარგულების ფარგლებში შემცირებული იქნას 3 300 ლარით სოფელ ღებში ჭალეების უბნის მინერალური წყლის მოწყობის სამუშაობი.

ბ) „მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 ივლისის N1025 განკარგულებით გამოყოფილი 138 597 ლარი დაიგეგმოს: შემოსულობებში - გრანტების მუხლში, ხოლო გადასახდელებში - სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამაში ქალაქ ონში და სოფლებში გზების, სანიაღვრე არხების, სკვერებისა და თავშეყრის ადგილების, სპორტული მოედნის რეაბილიტაციისათვის და ა.შ. (განკარგულების შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგელების მეშვეობით მოქალაქეებთან გამართული კონსულტაციიების შედეგან მუნიციპალიტეტის მერისთვის წარდგენილი წერილობითი მიმართვის საფუძველზე).

გ) საქართველოში პოლონეთის საელჩოსგან მიღებული გრანტი (22 000 ევროს ექვივალენტი) 64 400 ლარი დაიგეგმოს ქალაქ ონსა და სოფელ გლოლაში არსებული საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე სათამაშო მოედნის მშენებლობისათვის.

დ) სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე საქართველოს მთავრობის N2400 28.12.2023 წლის განკარგულების ფარგლებში დარჩენილი ეკონომიით განხორციელებული იქნას სოფელ პატარა ღებში შიდა გზის მიმდებარედ დაზიანებული ქვაყორის კედლის 24 002 ლარის აღდგენის სამუშაო.

2) საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში გამოყოფილი კაპიტალური გრანტის ფარგლებში ამოღებული იქნას:

- გზების კაპიტალური რეაბილიტაციის თანადაფინანსების 2 575 ლარი;
- სოფელ ღებში ჭალეების უბნის მინერალური წყლის მოწყობის თანადაფინანსების 5 425 ლარი.
- ქ.ონში დგვარელის ქუჩაზე სტადიონის მოწყობის თანადაფინანსებისათვის 9000 ლარი;

- შემცირდეს ქ.ონში სააკაძის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშო 1 619 ლარით; სულ 18 619 ლარი და დაიგეგმოს სოფელ უწერაში ადმინისტრაციული შენობის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობისათვის.

3) გაიზარდოს სხვა შემოსავლები, კერძოდ: სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი 225 000 ლარით და შემცირებული იქნეს ტენდერიდან დარჩენილი ეკონომიის ფარგლებში შემდეგი სამუშაოები: ელექტრო ავტობუსის შეძენის თანადაფინანსების ხარჯი 31 930 ლარით, ქალაქ ონში გაჩერებებზე ტაბლოების მოწყობის ხარჯი 57 536 ლარით, ვიდეო კამერების შეძენა-მონტაჟის ხარჯი 52 000 ლარი, სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამა 100 000 ლარით, სულ 466 466 ლარი დაიგეგმოს:

ა) საქართველოს მთავრობის განკარგულებით განსაზღვრული პროექტების თანადაფინანსების თანხა 200 520 ლარი, დაიგეგმოს: სოფელ პატარა ღებში გზის რეაბილიტაციისათვის 7 500 ლარი, სოფელ უწერაში გზის რეაბილიტაცია ასფალტო-ბეტონის (II ეტაპი) საფარით 7 500 ლარი, სოფელ ჟაშქვის გზის რეაბილიტაცია ბეტონის (III ეტაპი) საფარით 10 000 ლარი, სოფელ შეუბნის გზის რეაბილიტაცია ბეტონის (II ეტაპი) საფარით 10 000 ლარი; სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისათვის - ქ.ონში ვახტანგ VI-ის ქუჩაზე მინი სტადიონის მშენებლობის 9 000 ლარი, სოფელ სევაში არსებული მინი სტადიონის დასრულების სამუშაო 2 750 ლარი, სოფელ პატარა ღებში სასმელი წყლის სისტემის მოწყობის სამუშაო 64 557 ლარი, გზების კაპიტალური რეაბილიტაციის თანადაფინანსების 2 575 ლარი, სოფელ ღებში ჭალეების უბნის მინერალური წყლის მოწყობის თანადაფინანსების 5 425 ლარი, ქ. ონში დგვარელის ქუჩაზე ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მოწყობისათვის თანადაფინანსებისათვის 8 000 ლარი, სოფელ ფარახეთში გზის რეაბილიტაცია (ასფალტო-ბეტონი) IV ეტაპი 10 000 ლარი, ქალაქ ონში მოედნის ტერიტორიაზე არსებულ სასაფლაოებამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციისათვის 58 213 ლარი, სოფელ გლოლაში არსებული სასაფლაოებამდე მისასვლელი ბილიკების კეთილმოწყობისათვის 5 000 ლარი.

ბ) გაიზარდოს ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლის სუბსიდია 5 000 ლარით;

გ) მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის წილობრივი დაფინანსება 98 000 ლარით;

დ) გზების მიმდინარე მოვლა შენახვისათვის 27 000 ლარი;

ე) ონის მუნიციპალიტეტის კურორტ შოვში 2023 წლის 3 აგვისტოს მომდხარი ტრაგედიის დროს დაღუპულთა ხსოვნის უკვდავსაყოფად მომორიალის მშენებლობისათვის 100 000 ლარი (მთლიანი ღირებულება შეადგენს 181 536 ლარს) ;

ვ) გაიზარდოს ბინის ქირის ხარჯი 8 804 ლარით;

ზ) საკრებულოსათვის საოფისე ავეჯისა და ლეპტოპის შესაძენად 4000 ლარი;

თ) გაიზარდოს გარე განათების ელ.ენერგიის ხარჯი 23 142 ლარით.

4) გადატანილი იქნას, ფუნქციონალური და ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით მუნიციპალიტეტის მერის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხა, ონის მუნიციპალიტეტის კურორტ შოვში გამაფრთხილებელი ნიშნების მოწყობის სამუშაოები 2 411 ლარი; ონის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭიბრევში მოსული უხვი ნალექის შედეგად დაზიანებული გზის რეაბილიტაცია 9 981 ლარი.

ონის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტმა შეადგინა 29 073 181 ლარი.

პროექტი შეადგინა: თ. ბროლაშვილი

შემსრულებელი: ნ. მეტრეველი